

# ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## სხდომის ოქმი N4

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

13.03.2019 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე -  
*ალექსანდრე ლილუაშვილი*

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი: –ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგობერიძე, კობა ტოხვაძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამარ შენგელია, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გელა ჩიკვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, ბიჭიკო პაიკიძე, თამთა დვალიშვილი, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, მალხაზ ცერცვაძე, რობიზონ ფუტკარაძე, ვარლამ გიორგაძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - *ლუბა გოგოძე*.

**მოწვეული პირები:**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის „სახელწიფო შესყიდვების განყოფილების“ უფროსი - *ვანდა გიორგაძე*.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - *ზვიად კაპანაძე*.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **გელა ჩიტორელიძე**.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს დია სხდომას 14:00 საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

### დღის წესრიგი

1.,,ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: /ვანო მამფორია/

2.,,ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელი: / მამუკა ნამიჭეიშვილი/

3.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

მომხსენებელი: /ვანდა გიორგაძე/

4.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. შუამთაში მდებარე უძრავი ნივთის (ს.31.03.30.416) ა(ა)ი.პ „საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: /ზვიად კაპანაძე/

**დაადგინეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს:** დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანო მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის

დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახადების მოცულობა იზრდება 631,2 ათასი ლარით, მათ შორის.

საბიუჯეტო პროგრამა „03-04 სოფლის მხარდამჭერის პროგრამა“ 2019 წლის 22 იანვრის N45 განკარგულებით გამოყოფილი თანხით იზრდება 570,0 ათასი ლარით.

საბიუჯეტო პროგრამა „04-03 ზოგადი განათლების ხელშეწყობა“ 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულებით გამოყოფილი თანხით იზრდება 61,2 ათასი ლარით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე – 19

წინააღმდეგი – 2 (დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე)

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N11)

**მოისმინეს:** დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიტორელიძემ (მომხსენებლის მამუკა ნამიჭეიშვილის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში“ გამოიყო 570 ათასი ლარი. ეს თანხა გადანაწილდა სხვადასხვა სოფლებში 130 პროექტზე.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

წინააღმდეგი – 2 (დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე)

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“

(დანართი: განკარგულება N27 6).

**მოისმინეს:** დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს თანხმობას მუნიციპალიტეტის საკრებულოდან, რომ დადოს შ.პ.ს „პალადა“-სთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ღირებულებით 760 ათასი ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

წინააღმდეგი – 2 (დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე)

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

( განკარგულება N 27 7)

**მოისმინეს:** დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. შუამთაში მდებარე უძრავი ნივთის (ს.31.03.30.416) ა(ა)ი.პ „საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს საკრებულომ მისცეს თანხმობა სოფ. შუამთაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1492 კვმ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 375,3 შენობა

ნაგებობის (ს.31.03.30.416) ა(ა)ი.პ „საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე – 19

წინააღმდეგი – 2 (დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე)

**გადაწყვეტის:** დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. შუამთაში მდებარე უძრავი ნივთის (ს.31.03.30.416) ა(ა)ი.პ „საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

(განკარგულება N27 8)

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე